საჯარო სამართლის იურიდიული პირი-

# განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანება № 799/ი

30 08 2018 წ.

ქ. თბილისი

**მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე 2018 წელს აპლიკანტთა ჩარიცხვის მიზნით სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ სპეციალური ანკეტა-კითხვარის წარმოდგენის ვადის განსაზღვრისა და სპეციალური ანკეტა-კითხვარის ფორმის დამტკიცების შესახებ**

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) რეესტრის სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2018 წლის 30 აგვისტოს №1053317 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით, „პირის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წესის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 5 სექტემბრის №111/ნ ბრძანების მე-9 მუხლის მე-4 პუნქტის „ა" და „გ" ქვეპუნქტებისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების" მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ნ" ქვეპუნქტის საფუძველზე,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე 2018 წელს აპლიკანტთა ჩარიცხვის მიზნით უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ სპეციალური ანკეტა-კითხვარის (შემდგომში - ანკეტა) ცენტრში წარმოდგენის ვადად განისაზღვროს 2018 წლის 03 სექტემბრიდან 2018 წლის 07 სექტემბრის ჩათვლით.
2. დამტკიცდეს ანკეტის ფორმა ამ ბრძანების დანართის შესაბამისად.
3. დაევალოს ცენტრის საქმისწარმოების სამმართველოს ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის უზრუნველყოფა.
4. დაევალოს ცენტრის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და საორგანიზაციო სამმართველოს ამ ბრძანების ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე (www.eqe.ge) განთავსება.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).

დირექტორი

თამარ სანიკიძე

დანართი

# მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის ანკეტა-კითხვარი

| | | |
|---|---|---|
| ინფორმაცია სასწავლებლის შესახებ | უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სამართლებრივი ფორმა | |
| | უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სრული სახელწოდება | |
| | იურიდიული მისამართი | |
| | პროგრამის განხორციელების ადგილი | |
| | ელ-ფოსტა, ტელეფონი (ფაქსი) | |
| | ხელმძღვანელი პირ(ებ)ის შესახებ ინფორმაცია (გვარი, სახელი, ტელეფონი, ელ-ფოსტა) | |
| | საკონტაქტო პირი (გვარი, სახელი, ტელეფონი, ელ-ფოსტა) | |

| | | |
|---|---|---|
| ინფორმაცია მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ | მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | |
| | პროგრამის საგნ(ებ)ის/მოდულ(ებ)ის დასახელება | |
| | ინფორმაცია პროგრამის დამტკიცების შესახებ (აკრედიტაციის გადაწყვეტილების ნომერი, თარიღი) | |
| | პროგრამაზე ადგილების ჯამური რაოდენობა | |
| | სწავლების ენა პროგრამის მიხედვით | |
| | პროგრამის მოცულობა კრედიტებში | |
| | მიზანი და სწავლის შედეგი * | |

## ინფორმაცია მოდულის შესახებ

| № | პროგრამის საგნის/მოდულის სახელწოდება საფეხურის მითითებით | ადგილების რაოდენობა თითოეული საგნის/მოდულის მიხედვით | სწავლის საფასური საგნის/მოდულის მიხედვით | დასაფინანსებელ პირთა რაოდენობა | ინფორმაცია საგანზე/მოდულზე დაშვების წინაპირობის შესახებ | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსაზღვრული საგნის გამოცდა | უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსაზღვრული გამოცდა | აპლიკანტისათვის განსაზღვრული სპეციალური პირობები |
| 1 | | | | | | | |
| 2 | | | | | | | |
| 3 | | | | | | | |
| 4 | | | | | | | |
| 5 | | | | | | | |
| 6 | | | | | | | |
| 7 | | | | | | | |
| 8 | | | | | | | |
| 9 | | | | | | | |
| 10 | | | | | | | |
| 11 | | | | | | | |
| 12 | | | | | | | |
| 13 | | | | | | | |
| 14 | | | | | | | |
| 15 | | | | | | | |

*მიზანშეწონილია წარმოდგენილ იქნეს დანართის სახით

ბეჭედი

ხელმოწერა